სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87218271732422

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220698885

რეგისტრაციის თარიღი

10.06.2022 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
ტელეფონი: 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ათ ივნისს, მე **ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა 2ა, #1,** ბატონმა **დავით თვალაბეიშვილმა** მომმართა და განაცხადა, რომ მას, როგორც სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" (ს/კ: 205170036) გენერალურ დირექტორს, სურს სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ N2, მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **დავით თვალაბეიშვილმა** (დაბადების თარიღი: 20.06.1969, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 16 ბ. 7, პირადი ნომერი: 01030010639, პ/მ სერია: 17ID88228) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22022587, 07/03/2022 13:06:00, ს/კ 205170036) და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდების საფუძველზე და მე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ **დავით თვალაბეიშვილი** არის **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის"** (ს/კ 205170036, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2) გენერალური დირექტორი, შემდეგ შევადგინე რწმუნებულების ტექსტი, რომელიც წაიკითხა ბატონმა დავითმა და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, **დავით თვალაბეიშვილმა** (პ/ნ 01030010639), როგორც **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის"** (ს/კ 205170036) გენერალურმა დირექტორმა (შემდგომში „მარწმუნებელი") **ანა ტომარაძეს** (დაბ. თარიღი: 03.07.1991 წ., პირადი ნომერი: 01011077175) და **მარიამი ბაკურაძეს** (დაბ. თარიღი: 15.02.1992 წ., პირადი ნომერი: 01011084222), როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე (შემდგომში „რწმუნებული") მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სანოტარო ბიუროში და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული უძრავი ქონებიდან მდებარე მისამართზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, არჩილ და იუზა ცქიტიშვილების ქუჩა, #9, შენობა-ნაგებობა #73/4 და #75/3 (ს/კ: #32.10.33.871) იპოთეკის ხელშეკრულების (დამოწ. ნოტარიუს ი. შარვაძის მიერ 31.12.2020წ., რეესტრის #201065731) გაუქმებასთან.

რწმუნებული იცავს **მარწმუნებლის** ინტერესებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, სანოტარო ბიუროში და უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია **2022 (ორი ათას ოცდაორი) წლის 10 (ათ) ივლისამდე.** რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა **დავით თვალაბეიშვილს** რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდება ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში, რეგისტრაციის #150619591. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

დავით თვალაბეიშვილი
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის"
გენერალური დირექტორი

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი